საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

მაისი, 2025

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ DIOR-თან 2 მილიონი ევროს ვალდებულება მიიღო

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაასრულა Christian Dior ჯგუფის კომპანიების წინააღმდეგ 2024 წლის ივლისში დაწყებული მოკვლევა, რომელიც ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს ეხებოდა.

მოკვლევა დაიწყო მომხმარებლის კოდექსის საფუძველზე, კონკრეტულად კანის პროდუქტების მომწოდებლების სამუშაო პირობებთან და კანონმორჩილებასთან დაკავშირებით ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის შესაძლო მცდარი ინფორმაციის გამო. მოკვლევის შედეგად დარღვევები არ დაფიქსირდა, თუმცა იტალიის კონკურენციის უწყებამ მიიღო და კანონიერი ძალა მიანიჭა Christian Dior Couture S.A.-ს, Christian Dior Italia S.r.l.-ს და Manufactures Dior S.r.l.-ს მიერ შეთავაზებულ ვალდებულებებს.

უწყების გადაწყვეტილებით, კომპანიებმა ვალდებულება აიღეს 5 წლის განმავლობაში 2 მილიონ ევროზე მეტი თანხის დახარჯვის ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს შრომით ექსპლუატაციის მსხვერპლთა გამოვლენას და მათთვის სპეციალურ დაცვის, განათლების, სოციალური და სამსახურებრივი ინტეგრაციის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინიციატივები გახსნილია სხვა იტალიურ მოდის ბრენდებისთვისაც.

სხვადასხვა სფეროში მიღებულ ვალდებულებებში შედის:

- ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის დეკლარაციების განახლება;
- მომწოდებლების შერჩევისა და მონიტორინგის პროცესების გასამტკიცებლად ახალი პროტოკოლების შემუშავება;
- მარკეტინგისა და კომუნიკაციის თანამშრომლების შიდა ტრენინგები მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის საკითხებზე;
- მომწოდებლებისა და ქვეკონტრაქტორების საგარეო ტრენინგები შრომის სამართლის და Dior ჯგუფის ქცევის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური პრინციპების შესახებ.

იტალიის კონკურენციის უწყება აღნიშნავს, რომ მსგავსი ვალდებულებები ხელს შეუწყობს სამართლიან და გამჭვირვალე ბიზნესგარემოს შექმნას, უზრუნველყოფს სამომხმარებლო უფლებების დაცვას და კორპორაციულ პასუხისმგებლობას რეგიონში.

[წყარო:]

2

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყება იწყებს მოკვლევას 7 სატელემარკეტინგო კომპანიის წინააღმდეგ, მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის გამო

იტალიის კონკურენციის უწყებამ, იტალიის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) საგამოძიებო მხარდაჭერით, დაიწყო მოკვლევა შვიდი კომპანიის წინააღმდეგ, რომლებიც ენერგეტიკის და სატელეკომუნიკაციო სექტორებში სატელემარკეტინგო საქმიანობას ეწევიან. საკითხი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ კომპანიები მომხმარებლებს სატელეფონო ზარებით სთავაზობდნენ ენერგო და სატელეკომუნიკაციო მომსახურების გააქტიურებას,

გამოყენებული იყო მცდარი და დამაბნეველი ინფორმაცია ზარის მიზნის დაშეთავაზებული პირობების სარგებლიანობის შესახებ.

ზარები ხშირად ხორციელდებოდა ფალსიფიცირებული ნომრებიდან (CLI spoofing), რაც მიზნად ისახავდა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. ენერგეტიკის სფეროში ოპერატორები ხშირად თავს ასაღებდნენ მომხმარებლის მიმდინარე მიმწოდებლის თანამშრომლებად ან მარეგულირებელი უწყებების წარმომადგენლებად.

ფინანსური პოლიციის სპეციალური ანტიკარტელური განყოფილების მხარდაჭერით, განხორციელდა კომპანიის ოფისებში ინსპექცია.

იტალიის კონკურენციის უწყება და ენერგეტიკის, ქსელებისა და გარემოს მარეგულირებელი ორგანო (ARERA) აქტიურად მუშაობენ მომხმარებელთა ინფორმირებაზე და აორგანიზებენ კამპანიას „Difenditi così“, რომელიც ეხმარება ხალხს დაიცვას თავი აგრესიული სატელემარკეტინგო ზარებისგან.

წყარო:

1

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ კომპანიას 20 მილიონის ჯარიმა დააკისრა მომხმარებელთა მიმართ სისტემური დარღვევებისთვის

ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ პროფესიულ კოლეჯ *Captain Cook College*-ს დააკისრა 20 მილიონი დოლარის ჯარიმა მომხმარებელთა სისტემური მოტყუებისთვის და დამატებით 750,000 დოლარი — სტუდენტებისთვის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის ონლაინ დიპლომის კურსებთან დაკავშირებით, რომლებიც *VET FEE-HELP* სესხის პროგრამის ფარგლებში ტარდებოდა.

გამოძიების მიხედვით, კოლეჯმა 2015 წლიდან enrollment-ის პროცესიდან ამოიღო დაცვის მექანიზმები, რის შედეგად ათასობით სტუდენტს დარჩა სესხი. საერთო ჯამში, 5,500-ზე მეტმა სტუდენტმა 60 მილიონ დოლარზე მეტი დავალიანება დააგროვა. მოგვიანებით, ავსტრალიის მთავრობამ სტუდენტთა სესხები გააუქმა.

სასამართლომ დამატებით დააჯარიმა კოლეჯის მფლობელი კომპანია *Site Group International Limited* 10 მილიონით და ყოფილი COO ბლეიკ უილსი 400,000 დოლარით. უილსს სამწლიანი აკრძალვა დაეკისრა კომპანიების მართვის უფლებაზე.

ეს გადაწყვეტილება მკაფიო გზავნილია ყველა ბიზნესისთვის განსაკუთრებით მათთვის, ვინც სამთავრობო დაფინანსებას იღებს, რომ მომხმარებელთა უფლებების დარღვევა სერიოზულ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს.

წყარო:

1

ლიეტუვის მომხმარებლთა დაცვის სახელმწიფო უწყება

ლიეტუვა სხვა ქვეყნების მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებებთან ერთად მოდისა და ტექსტილის სექტორში არსებულ საკითხებს ეხმაურება

სახელმწიფო მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური (SCPS) 20 სხვა ქვეყნის მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებასთან ერთად გამოვიდა ერთობლივი მიმართვით მოდის საცალო ვაჭრობის სექტორის მიმართ, რომელიც ეხება მარკეტინგში გარემოსდაცვითი განცხადებების გამოყენებას.

მიმართვა შემუშავდა საერთაშორისო მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების ქსელის (ICPEN) ფარგლებში, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 70-მდე ქვეყნის შესაბამის უწყებებს. დოკუმენტში ხაზგასმულია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი განცხადებების გამჭვირვალე და დასაბუთებული გამოყენება მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის და აღწერილია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ასეთ განცხადებებს უნდა აკმაყოფილებდეს რეკლამაში გამოყენებისას.

მიმართვის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ICPEN-ის ვებსაიტზე: https://icpen.org/news/1419

წყარო:

1

ხორვატიის კონკურენციის უწყება

სექტორული კვლევა ხორვატიის საკვებისა და არასაკვები პროდუქციის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში

ხორვატიის კონკურენციის უწყებამ (CCA) გამოიკვლია ურთიერთობები და ბიზნესის პირობები მომწოდებლებსა და საცალო ვაჭრობას შორის საკვებისა და არასაკვები პროდუქციის მიწოდების ჯაჭვში 2022 წლის იანვრიდან 2024 წლის ივლისამდე.

კვლევამ აჩვენა, რომ ფასების ხშირი ცვლილებები ძირითადად დისტრიბუტორებს ეხებათ, რაც აისახა საცალო ფასებზეც, განსაკუთრებით ინფლაციის ფონზე. ფასების ზრდის ძირითადი მიზეზი იყო ნედლეულისა და ენერგიის გაძვირება, ასევე იმპორტის ფასების ზრდა.

მომწოდებლები დამოუკიდებლად ადგენენ საბითუმო ფასებს, საცალო ვაჭრები კი საცალო ფასებს. უმეტესობა მაღაზიებისა და მომწოდებლების მოლაპარაკებითი პოზიცია თანაბარია, თუმცა მცირე მაღაზიები უფრო დაბალ პოზიციას და ზეწოლას განიცდიან.

კონტრაქტები ძირითადად წლიურია, ფასები კი ზოგჯერ მიწოდებამდე ცვალებადია. პროდუქტის განლაგებას ძირითადად საცალო ვაჭრები განკარგავენ. კვლევამ არ გამოავლინა კანონმდებლობის დარღვევები, თუმცა ზოგი პრაქტიკა (მაგ. შეკვეთა) დამატებით შემოწმებას საჭიროებს. ფასების ზრდაში ერთ მონაწილეს არა, არამედ იმპორტსა და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს.

[წყარო:]

1

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

კონკურენციის შეზღუდვა საუზმის მზა მარცვლოვანი პროდუქციის ბაზარზე

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ (HCC) 2025 წლის №878 გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კომპანია „ATLANTA“-ს მოთხოვნა შეთანხმების პროცედურაში ჩართვაზე და დააკისრა შემცირებული ჯარიმა — 127,314 ევრო.

კომპანია დაადანაშაულეს იმაში, რომ მან საცალო მაღაზიებსა და სუპერმარკეტებს მზა მარცვლოვანი პროდუქტის გაყიდვისას ფასები დაუწესა, რომლებიც ამ პირობებს მნიშვნელოვანწილად ემორჩილებოდნენ. აღნიშნული დარღვევა გრძელდებოდა 2021 წლის 9 მარტიდან 2021 წლის 31 აგვისტომდე. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამგვარი ვერტიკალური შეთანხმებები ითვლება კონკურენციის შეზღუდვის მიზნობრივ ფორმად.

[წყარო:]

1

COMPETITION POLICY INTERNATIONAL

FTC ითხოვს დამატებით ინფორმაციას ALCON-ის 430 მილიონიან LENSAR-ის შეძენასთან დაკავშირებით

ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (FTC) მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია **Alcon** მიერ ფლორიდაში დაფუძნებული სამედიცინო ტექნოლოგიების ფირმის Lensar Inc.-ის შეძენასთან დაკავშირებით, რაც დროებით აჭიანურებს შეთანხმების დასრულების პროცესს. ტრანზაქცია, რომლის შესახებ პირველად გახდა ცნობილი 2025 წლის მარტში, გულისხმობს შვეიცარიული თვალის მოვლის ლიდერი Alcon-ის მიერ Lensar-ის შეძენას, Lensar გახდება Alcon-ის სრულად კონტროლირებადი შვილობილი კომპანია.

შეთანხმების პირობებით, Alcon-ი ვალდებულია შეიძინოს Lensar-ის ყველა არსებული აქცია ნაღდი ფულით, თითო აქციის საფასურით $14.00, დამატებით კი შეიძლება დარიცხოს $2.75 აქციაზე კომპენსაცია, ტრანზაქციის საერთო პოტენციური ღირებულება შეადგენს დაახლოებით $430 მილიონს, რაც აღემატება Lensar-ის ბოლო სავაჭრო ფასებს.

FTC-ის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის მიუხედავად, ორივე კომპანია აცხადებს აქტიურ თანამშრომლობას მარეგულირებელ ორგანოებთან.

Alcon-ის გენერალურმა დირექტორმა, დევიდ ენდიკოტმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ შეძენას, როგორც მნიშვნელოვან დანამატს Alcon-ის ქირურგიულ პორტფელზე. ამ ინტეგრაციის მეშვეობით კომპანია გააფართოვებს გლობალურ გავლენას და გააძლიერებს ინოვაციებს კატარაქტის ქირურგიაში — პროცედურა, რომელიც ყოველწლიურად შეერთებულ შტატებში ტარდება 5 მილიონზე მეტჯერ და მსოფლიოში დაახლოებით 32 მილიონჯერ.

წყარო:

2

COMPETITION POLICY INTERNATIONAL

GOOGLE

ბრაზილიის კონკურენციის მარეგულირებელმა უწყებამ (CADE) განაახლა გამოძიება Google-ის წინააღმდეგ, რომელსაც ედება ბრალი საძიებო ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, რაც აზიანებს მედია ორგანიზაციებს. საქმე ეხება Google-ის პრაქტიკას, რომელიც მესამე მხარის საინფორმაციო საიტებიდან შინაარსს იღებს და პირდაპირ საძიებო შედეგებში აქვეყნებს, რითაც გამომცემლების ვებტრაფიკს ანელებს და ასევე სარეკლამო შემოსავალს.

CADE-ს განცხადებით, საქმე განიხილება და შეფასდება, აზიანებს თუ არა Google-ის ეს პრაქტიკა დამოუკიდებელ მედია საშუალებებს, რადგან მომხმარებლები ნაკლებად გადადიან ავტორის საიტებზე.

ბრაზილიის ეროვნული გაზეთების ასოციაცია (ANJ) Google-ს ადანაშაულებს აუდიტორიისა და შემოსავლების შემცირებაში, რადგან Google-ს ვებსივრცეში სათაურების და სტატიის ამონარიდების გამოჩენა ზრდის Google-ის პოპულარობას, თუმცა ზღუდავს მომხმარებლის ვიზიტებს ავტორის საიტებზე.

CADE-ის გამოძიების განახლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ხელოვნური ინტელექტის ზრდა მედიასფეროში იწვევს ახალ გამოწვევებს.

წყარო:

1

CONCURRENCES

ჯარიმა სამ ფარმაცევტულ კომპანიას

შანხაის ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრაციამ 223 მილიონი იუანის (დაახლოებით 32.1 მილიონი აშშ დოლარი) ჯარიმა დააკისრა სამ ფარმაცევტულ კომპანიას — *Chengdu Huixin Medicine*, *Henan Runhong Pharmaceutical* და *Shanghai Sine United Pharmaceuticals* — ნეოსტიგმინის მეთილსულფატის ინექციის ფასის ხელოვნურად გაზრდისა და ბაზრის გაყოფის გამო. კომპანიებმა შეზღუდეს სამართლიანი კონკურენცია და ხელი შეუშალეს სამედიცინო დაწესებულებების თავისუფალ არჩევანს.

გარდა კომპანიის პასუხისმგებლობისა, აღნიშნული საქმე გახდა პირველი პრეცედენტი, როდესაც ანტიმონოპოლიური შეთანხმების გამო პასუხისმგებლობა დაეკისრათ ფიზიკურ პირებსაც — თითოეულ მათგანს 500,000 იუანის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

წყარო:

1

BUNDESKARTELLAMT

კარტელური შეთანხმება გზების შეკეთების კომპანიებს შორის

ბუნდესკარტელამტმა შვიდ გზების შეკეთების კომპანიას საერთო ჯამში 10.5 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა ტენდერების წინასწარი კოორდინაციისა და კლიენტების განაწილების გამო.

დაჯარიმებული კომპანიებია: AS Asphaltstraßensanierung GmbH, Bausion Strassenbau-Produkte GmbH, Bitunova GmbH, Gerhard Herbers GmbH, Liesen GmbH, Mainka Straßenunterhaltung და MOT Müritzer Oberflächentechnik GmbH.

კომპანიები წინასწარ თანხმდებოდნენ, ვის უნდა მოეგო კონკრეტული ტენდერი, ხოლო დანარჩენები წარადგენდნენ შეთანხმებულად ფასიან, ეგრეთ წოდებულ დამცავ წინადადებებს. მსგავსი პრაქტიკა ზიანს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს და შესაბამისად ყველა მოქალაქეს.

2018-2019 წლებში კომპანიებმა გერმანიის რამდენიმე ფედერალურ მიწაზე (საქსონია,ტიურინგია, საქსონია-ანჰალტი) წინასწარ გაინაწილეს რეგიონები და შეთანხმდნენ ტენდერების წინასწარ შედეგებზე. 2016-2019 წლებში, სხვა რეგიონებშიც ხდებოდა მსგავსი კოორდინაცია, მათ შორის ბრანდენბურგსა და მეკლენბურგ-პომერანიაში.

შეხვედრები ტარდებოდა როგორც პირადად, ისე ტელეფონით. ზოგჯერ შეხვედრები იმართებოდა ბერლინის მახლობლად სასტუმროში.

დარღვევები შეეხებოდა მუნიციპალიტეტებისა და ფედერალური გზების სამსახურების მიერ გამოცხადებულ მრავალ ტენდერს, რომელთა ღირებულება ძირითადად 40,000-დან 200,000 ევრომდე მერყეობდა.

ყველა საქმე დასრულდა შეთანხმების გზით და გადაწყვეტილებები უკვე ძალაშია შესული.

წყარო:

1

თურქეთის კონკურენციის უწყება

ARZUMFTC-ის მიმართ მოკვლევა დასრულდა მორიგებისა და ვალდებულების საფუძველზე

კონკურენციის საბჭოს 2025 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, კომპანია **Arzum Elektrikli Ev Aletleri Sanayi ve Ticaret AŞ**-ის (ARZUM) მიმართ დაიწყო მოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია, არღვევდა თუ არა კომპანია კონკურენციის შესახებ კანონის №4054 მე-4 მუხლს გადამყიდველთა ფასების ფიქსაციით და დისტრიბუტორებისთვის

გაყიდვების შეზღუდვით. პროცესი დასრულდა მორიგებისა და ვალდებულებების პროცედურით.

რეგიონული შეზღუდვების ნაწილში, კომპანიამ იკისრა ვალდებულება, რომ:

- დილერებს და დისტრიბუტორებს არ მიენიჭებათ ექსკლუზიური რეგიონები ან მომხმარებელთა ჯგუფები;
- არ დაწესდება შეზღუდვები აქტიურ, პასიურ და ონლაინ გაყიდვებზე;
- პარტნიორებს გაეგზავნებათ შესაბამისი განმარტებითი წერილები;
- ჩატარდება ყოველწლიური ტრენინგები კონკურენციის სამართალზე.

კონკურენციის საბჭომ 2025 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით ვალდებულებები საკმარისად მიიჩნია და ისინი კომპანიას სავალდებულოდ დაუწესა. შესაბამისი ცვლილებები ხელშეკრულებებში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დისტრიბუტორებისთვის — 1 თვეში,
- დილერებისთვის და სხვა ვალდებულებებზე — 3 თვეში.

შესაბამისად, რეგიონული შეზღუდვების საკითხზე მოკვლევა შეწყდა.

გადამყიდველთა ფასების ფიქსაციასთან დაკავშირებით, საბჭომ 2025 წლის 9 მაისს დაადგინა, რომ ARZUM-მა დაარღვია კანონის №4054 მე-4 მუხლი. მორიგების ფარგლებში კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 25%-იანი შეღავათით.

საბოლოოდ, კომპანიის 2023 წლის მთლიანი შემოსავლის გათვალისწინებით, ARZUM-ს დაეკისრა 11,402,467.87 თურქული ლირის ოდენობის ჯარიმა.

[წყარო]

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, ავსტრალიის, ლიეტუვას, ხორვატიის და თურქეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა Concurrences-ის და Competition Policy International-ის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"